პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

20/08/2026

MES 4 26 0001072678

გადაწყვეტილება

შპს ორიენტირისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობის“ დამატების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ორიენტირს (ს/კ: 200011904) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“ **(დანართი).**

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 აგვისტო.

3.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 20 აგვისტოს №1071669 ოქმის მესამე საკითხი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან/და ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი,

დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია